სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №01-09-10/60

ქ. თბილისი 08 05 2020 წ.

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „შემოქმედებითი ნაპერწკალი: სამეწარმეო განათლების პროგრამა უმაღლესი სასწავლებლებისთვის“ პროექტის ფარგლებში გლობალური კონკურსი „დიდი იდეების გამოწვევა 2020“ ჩატარებისა და ჟიურის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, საერთაშორისო ურთიერთობების და სტანდარტების სამსახურის უფროსის ო. ზუმბურიძის 2020 წლის 7 მაისის N MES 2 20 00365061 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე და საგრანტო პროექტის „შემოქმედებითი ნაპერწკალი: სამეწარმეო განათლების პროგრამა უმაღლესი სასწავლებლებისთვის“ (საგრანტო ხელშეკრულება №EV16048P8P საქართველოს ფინანსთა სამინისტროში რეგისტრაციის ნომერი – №1890, 04.11.2019) მეორე წლის ძირითადი გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად

ვბრძანებ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩატარდეს „შემოქმედებითი ნაპერწკალი: სამეწარმეო განათლების პროგრამა უმაღლესი სასწავლებლებისთვის“ - “Creative Spark: Higher Education Enterprise Programme” პროექტის მეორე წლის პროგრამით გათვალისწინებული გლობალური კონკურსი „დიდი იდეების გამოწვევა 2020“;
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონკურსის ფინალურ ეტაპზე საუკეთესო ათი იდეის გამოვლენის მიზნით შეიქმნას კონკურსის ჟიური შემდეგი შემადგენლობით:
   - მიხეილ რამაზაშვილი - სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრი;
   - თამარ ლომინაძე - სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
   - გაიოზ ფარცხალაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი;

- მიხეილ ზიბზიბაძე - საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში ადამიანური რესურსებისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსი;
- ნინო ჩუბინიძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე;
- რატი გურგენიძე - სტუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი;
- ავთანდილ ადეიშვილი - სტუ-ს სოციალურ საკითხთა სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
- ლუკა ქემოკლიძე - სტუ-ს სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი;
- ბორის გითოლენდია - სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების და სტანდარტების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
- კოლინ რიგბი - პროფესორი, კილის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი);
- ფილიპა ჩეპმანი - ინოვაციების მრჩეველი, კილის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი);

3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული ჟიურის მიერ გადაწყვეტილება მიიღება ბრიტანეთის საბჭოს მიერ დამტკიცებულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით;
4. სტუ-ში გამარჯვებული ერთი გუნდისათვის (სტუ-ს ჩემპიონი) „შემოქმედებითი ნაპერწკალი: სამეწარმეო განათლების პროგრამა უმაღლესი სასწავლებლებისთვის“ - გრანტის ფარგლებში განისაზღვროს ფულადი პრიზი 500 ფუნტ სტერლინგის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში;
5. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #64).

რექტორი დავით გურგენიძე